ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის
2022 წლის 08 ივლისის №ბ12.122218918 ბრძანების საფუძველზე შექმნილი
„ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის“
სხდომის ოქმი №5

ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. №18 31 აგვისტო, 2022 წელი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ინგა დიაკონოვი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
თამილა ადვაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
ქეთევან ჯვარიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თამარი სამსონიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მაკა ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გელა ლომიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლევან მიქაბერიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
შიო ზედგინიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. მიმდინარე სხდომის მდივნის განსაზღვრის შესახებ.
2. სამუშაო ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის გაცნობის შესახებ.

მოისმინეს და დაადგინეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხია, მიმდინარე სხდომის მდივნის განსაზღვრა. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მიმდინარე სხდომას მდივნობას გაუწევს ამავე ჯგუფის წევრი - შიო ზედგინიძე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხია, სამუშაო ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის გაცნობა. ჯგუფის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის №ბ12.122218918 ბრძანების საფუძველზე შექმნილია „ახალციხის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დეგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“. აღნიშნული ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

1. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:**
   1.1 შშმ სტატუსის მქონე;
   1.2 არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
   1.3 გავნითარების სირთულის მქონე ბავშვი;
2. **მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მ.შ.:**
   2.1 ობოლი ბავშვი;
   2.2 მარჩენალდაკარგული ბავშვი;
   2.3 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი;

3. **სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი;**
4. **ბავშვი ღარიბი ოჯახიდან, რომლის მშობელი/მეურვე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;**
5. **ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მ.შ.:**
   5.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
   5.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
   5.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი;

საჭიროებათა კვლევის ჩატარების მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში თავის უფლებამოსილებას ახორციელებს 19 მერის წარმომადგენელი, რომელთაგან ყველა მათგანს საველე სამუშაოები უკვე დასრულებული აქვს და მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია, პირველადი აღრიცხვის ფორმის შესაბამისად შევსებული, გადმოეცა სამუშაო ჯგუფს. აღნიშნულის შემდგომ, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების შესაბამისად, მერის წარმომადგენლებს დაევალათ ანკეტური გამოკითხვის ჩატარება მინიმუმ ყოველ მე-7 რესპონდენტზე. თითოეულ მათგანს განემარტა, რომ შეძლებისდაგვარად პროცესი წარმართონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ბავშვისადმი კეთილგანწყობილ, კომფორტულ და მშვიდ გარემოში. ასევე, გამოკითხვის პროცესში დაცული იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები (პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ინსტრუქციის დანართი N6-ის შესაბამისად), გათვალისწინებული იყოს კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში ბავშვების მონაწილეობის თავისებურებები. მერის წარმომადგენლებს გადაეცათ გამოკითხვისათვის საჭირო ანკეტები საჭირო რაოდენობით. მერის წარმომადგენელთა მცირე ნაწილს, დღეის მდგომარეობით, შევსებული ანკეტები წარმოდგენილი აქვთ, ხოლო უმრავლესობა მათგანი მუშაობის პროცესშია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:

- სამუშაო ჯგუფის წევრებს დაევალოთ მერის წარმომადგენლებთან ხშირი კონტაქტი და საჭიროების შემთხვევაში მათი დახმარება, პროცესის სწრაფი და შედეგიანი მსვლელობის უზრუნველსაყოფად.
- სამუშაო ჯგუფის წევრებს დაევალოთ მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი შევსებული ანკეტებისა და მათში ასახული ინფორმაციის შემდგომი დამუშავება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: **ინგა დიაკონოვი**

სხდომის მდივანი: **შიო ზედგინიძე**